

საქართველოს მთავრობის  
განკარგულება

N ----- 2022 წლის \_\_\_\_\_ ქ. თბილისი

შპს „ემ თი ეის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით  
განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შპს „ემ თი ეიმ“ (ს/ნ 215096367) ბაკურიანში, დიდველისა და კობტა-მიტარბის სამთო-სათხილამურო კურორტებზე სასრიალო ტრასების მშენებლობა-მოწყობა, გათვლიანების სისტემის წარმოება/შემენა-მონტაჟთან დაკავშირებული ყველა სახის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში”.
2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვებთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ის მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.
3. ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების

შესყიდვები მიიჩნევა lump sum ტიპად და მასზე არ ვრცელდება აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება.

**პრემიერ-მინისტრი**

**ირაკლი ღარიბაშვილი**

## განმარტებითი ბარათი

### შპს „ემ თი ეის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე

#### ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

2018 წლის 17 მაისს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ (მოქმედი სახელწოდება - შპს „ემ თი ეი“), საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციისა და ა(ა)იპ - საქართველოს სათხილამურო ფედერაციის მიერ ხელი მოეწერა „2023 წლის მსოფლიო სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტილის ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ“ ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულია „შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციასა და ა(ა)იპ - საქართველოს სათხილამურო ფედერაციას შორის გასაფორმებელი „2023 წლის მსოფლიო სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტილის ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ“ ხელშეკრულების თაობაზე“ 2018 წლის 17 მაისის №1092 განკარგულებით. სწორედ ამ ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „ემ თი ეის“ ხელშეწყობით 2023 წელს ბაკურიანი უმასპინძლებს სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტილში მსოფლიო ჩემპიონატს. ჩემპიონატის მასპინძლობისთვის საჭიროა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო ფედერაციის განსაკუთრებული მოთხოვნაა ახალი სასრილო ტრასების მოწყობა, აღნიშნული ტრასების ხელოვნური თოვლით უზრუნველყოფა და ხელოვნური თოვლის საწარმოებლელი საჭირო ინფრასტრუქტურის არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია ვალდებულია 2022 წლის ბოლომდე ბაკურიანში, დიდველისა და კოხტა-მიტარბის არეალებში განახორციელოს სასრილო ტრასების, საერთო ფართობით - 27650 მეტრი (კოხტა-მიტარბი 14040, დიდველი 13610 მეტრი), მშენებლობა-მოწყობა, გათოვლიანების სისტემის შექმნა-მონტაჟი.

სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტილის 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 თებერვლის №362 და 14 აპრილის №681 განკარგულებებით შპს „ემ თი ეი“-ს დაევალა უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს ბაკურიანში, დიდველისა და კოხტა-მიტარბის სამთო-სათხილამურო კურორტებზე სასრილო ტრასების მშენებლობა-მოწყობა, გათოვლიანების სისტემის წარმოება/შექმნა-მონტაჟი, წყლის ხელოვნური რეზერვუარების (დიდველის რეზერვუარის

მოცულობა - დაახლოებით 201 433 მ<sup>3</sup>, კოხტა-მიტარბის რეზერვუარის მოცულობა - დაახლოებით 105 948 მ<sup>3</sup>) მოწყობასთან დაკავშირებული ყველა სახის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და მომსახურება.

შპს „ემ თი ეის“ საქმიანობის მიზანსა და საგანს წარმოადგენს საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე მის მართვაში არსებული სპორტულ-რეკრეაციული არეალების მოწყობა, მართვა, ამ არეალებზე უსაფრთხოების და კომფორტის შექმნა, საბაგირო გზების მონტაჟი, ექსპლუატაცია და მათი მოვლა-პატრონობა, სასრიალო გზების გათოვლიანება და თოვლის საფარის მოვლა. კომპანიის მიზანია, ვიზიტორებს შესთავაზოს ახალი, უმაღლესი ხარისხის სერვისი, რათა უახლოეს მომავალში მის დაქვემდებარებაში არსებულმა კურორტებმა შეძლონ წამყვან საერთაშორისო სამთო-სათხილამურო კურორტებისთვის კონკურენციის გაწევა. საქართველოში სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარება და მართვის დონის გაუმჯობესება აამაღლებს ქვეყნის ტურისტული პოტენციალს და კურორტებზე უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოება და მომსახურების მაღალი ხარისხი, სტუმრებისთვის შეიქმნება სასიამოვნო და ხელსაყრელი გარემო. ახალი სასრიალო ტრასების მშენებლობა-მოწყობა და მათი უზრუნველყოფა მუდმივი თოვლით, გამოიწვევს ზამთრის სამთო-სათხილამურო სეზონის გახანგრძლივებასაც. აღნიშნული კი პირდაპირპროპორციულად აისახება კურორტ ბაკურიანში არსებული სუბიექტების (ადგილობრივი მოსახლეობა, მცირე და საშუალო ბიზნესი, ინვესტორები), კომპანიისა და სახელმწიფოს შემოსავლებზე. აღნიშნული თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია კურორტ ბაკურიანში დამსვენებელთა გაზრდილი ნაკადის პირობებში კურორტის პოტენციალის ზრდასთან, მათთვის უმაღლესი ხარისხის სასრიალო გზების შეთავაზებასა და მრავალფეროვანი და კომფორტული გარემოს შექმნასთან, რაც გაზრდის როგორც ვიზიტორების, ისე დასაქმებულთა რაოდენობას. ასევე აღსანიშნავი ის ფაქტიც, რომ ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარებას და სპორტსმენებს შესაძლებლობა ექნებათ მოემზადონ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხოლო საქართველოს სათხილამურო ფედერაცია შეძლებს უფრო მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირის/ჩემპიონატის ჩატარებას.

2023 წლის მსოფლიო სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტაილის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საჭიროა მთელი რიგი სამუშაოების ჩატარება, რაც უნდა პასუხობდეს საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მიერ დადგენილ სტანდარტებს. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, სასრიალო ტრასებისა და გათოვლიანების სისტემის მოწყობა უნდა დასრულდეს ნოემბრის ბოლომდე, ვინაიდან ტრასების და სისტემების მონტაჟის პარალელურად მიმდინარეობს გათოვლიანების სისტემის წყლით მოსამარაგებელი ორი ხელოვნური რეზერვუარის მშენებლობა, ხოლო მშენებლობის შემდგომ საჭიროა რეზერვუარის წყლით შევსება და მთლიანად სისტემის შემოწმება, რათა

ვზრუნველვყოთ სისტემის გამართული და ეფექტური მუშაობა და დადგინდეს ვადებში საჭირო ოდენობის ხელოვნური თოვლის გამომუშავება.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ემ თი ეი“ წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემსყიდველ ორგანიზაციას, იგი ვალდებულია ყველა შესყიდვა აწარმოოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგინილი შესაბამისი პროცედურების დაცვით. უნდა ავლნიშნოთ, რომ მოცემული პროექტისათვის საჭირო შესყიდვები, კომპანიის შესყიდვების წლიური გეგმისა და უშუალოდ შესყიდვის მოცულობების გათვალისწინებით, ექვემდებარება ელექტრონული ტენდერების პროცედურებს, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან დროს (ტენდერის დადებითად/წარმატებულად დასრულების შემთხვევაში, მინიმუმ 40 კალენდარულ დღეს ხელშეკრულების დადებამდე). მიწოდებისა და მშენებლობის ვადების გათვალისწინებით (რაც დაახლოებით 6 თვეს შეადგენს), და ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული პროცედურების პირობებში, საერთო ჯამში ვერ შესრულდება როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის #362 განკარგულება და 2023 წლის მსოფლიო სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტილის ჩემპიონატი საქართველოში ვერ ჩატარდება.

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ დღეს „ემ თი ეისა“ და Studio associate proalpe di ingg.Farina Giordano e Veronesi Ivan-ს შორის გაფორმებული 2020 წლის 27 იანვრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #53 ხელშეკრულების (CNT190000116)“ შესაბამისად, აღნიშნულმა კომპანიამ დიდველისა და კობტა-მიტარბის სამთო-სათხილამურო კურორტებზე სასრიალო ტრასების მშენებლობა-მოწყობა, გათოვლიანების სისტემის წარმოება/შემდენა-მონტაჟთან დაკავშირებული სრულყოფილი ექსპერტიზაგავლილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის და ტექნიკური მოთხოვნების წარმოდგენა მოხდა საპროექტო ჯგუფის მიერ 2022 წლის 18 აპრილს. პროექტის სირთულის და მცირე ვადების გათვალისწინებით, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ბაზრის კვლევის პირველი ეტაპი დაეწყო, რომელიც პრეტენდენტ კომპანიებს მისცემდა საშუალებას დროულად გაცნობოდნენ პროექტს და გამოეხატად ინტერესი პროექტში მონაწილეობის თაობაზე. 2022 წლის 29 მარტს ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განცხადება აიტვირთა შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე, გამჭვირვალე და კონკურენტურანიანი პროცედურების უზრუნველსაყოფად. ასევე, პოტენციურ პარტნიორებს გაეგზავნათ ინფორმაცია კვლევის განთავსების შესახებ (DemacLenko, TechnoAlpin, Sufag, Supersnow). ბაზრის კვლევის პირველ ეტაპზე აიტვირთა პროექტი და მოთხოვნა ზოგადი ინფორმაციის მიღებაზე ბაზრის კვლევაში მონაწილე სუბიექტებისგან. ასევე, ბაზრის კვლევაში მონაწილე სუბიექტებს უნდა გამოეთქვათ ინიციატივა პროექტში მონაწილეობის თაობაზე.

2022 წლის 20 აპრილს, მთის ტრასების სააგენტომ (შპს "ემ.თი.ეი") გამოაცხადა ბაზრის კვლევის მეორე ეტაპი, სადაც პროექტთან ერთად, დამატებით შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე აიტვირთა საპროექტო ჯგუფის მიერ ექსპერტიზაგავლილი ნულოვანი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. „ემ თი ეის“ მიერ ბაზრის კვლევის

ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში პროექტის ღირებულება განისაზღვრა 137,828,652.00 ლარით. პროექტის ღირებულების განსაზღვრა მოხდა იტალიური საპორექტო ჯგუფის (Studio associate proalpe di ingg.Farina Giordano e Veronesi Ivan-ს) შემუშავებული და ექსპერტიზაგავლილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის საფუძველზე.

ბაზრის კვლევის დამთავრების ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 29 აპრილი. სამი კომპანიის (DemacLenko, TechnoAlpin, Sufag) მიმართვის საფუძველზე, კომპანია „ემ თი ეიმ“ მიიღო გადაწყვეტილება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ბაზრის კვლევის დასრულების საბოლოო თარიღად განსაზღვრა 2022 წლის 5 მაისი (17:00 საათი).

2022 წლის 5 მაისს 17:00 საათზე შეხვედრა გაიმართა თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინს“-ში, რომელსაც ესწრებოდნენ კომპანია „DemacLenko“-ს, „TechnoAlpin“-ის და Sufag“-ის წარმომადგენლები. შეხვედრაზე კომპანიებს უნდა წარმოედგინათ შეთავაზება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელიც მოთავსებული იქნებოდა დალუქულ კონვერტში.

ბაზრის კვლევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა კომპანიამ „DemacLenko“-მ და „TechnoAlpin“-მა. კომპანია „Sufag“-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპანია არ მონაწილეობდა ბაზრის კვლევის ბოლო ეტაპზე და არ წამოუდგენია შეთავაზება. კომპანია „DemacLenko“-ს მიერ შემოთავაზებული ფასი შეადგენდა 91,939,038.00 ლარს, ხოლო „TechnoAlpin“-ის მიერ 137,798,395.00 ლარს.

შპს „ემ თი ეის“ მხრიდან მოხდა ორივე კომპანიის მიერ მოწოდებული ხარჯთაღრიცხვის და მოთხოვნების შესაბამისად მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა/ანალიზი. კომპანია „DemacLenko“-ს მიერ წარმოდგენილი ფასი 45,859,357.00 მილიონი ლარით ნაკლები იყო კომპანია „TechnoAlpin“-თან შედარებით. კომპანია „დემაკლენკომ“ ასევე, ოფიციალურ წერილში აღნიშნა, რომ მათ მიერ შემოთავაზებული მნიშვნელოვანი ფასდაკლება, მიზნად ისახავდა საქართველოს მთავრობის დახმარებას მთის კურორტების განვითარების მიმართულებით. შემოთავაზების მიუხედავად, კომპანია ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ კრიტერიუმებს, კერძოდ: საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით განსაზღვრული იყო ბოლო 3 წლის განმავლობაში კომპანიის ფინანსური ბრუნვები, ხელოვნური გათოვლიანების მიმართულებით. მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია „HTI“ ჯგუფის ფინანსური ბრუნვები, რომლის წევრები არიან როგორც ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მწარმოებელი კომპანია „DemacLenko“, ასევე საბაგროსა და თოვლატკეპნი ტექნიკის სხვადასხვა კომპანიები. შესაბამისად, ჯგუფის მთავარ საქმიანობას არ წარმოადგენს მხოლოდ ხელოვნური გათოვლიანების სისტემების მიმართულება. შესყიდვის მთავარი ობიექტი კი ხელოვნური გათოვლიანების სისტემის წარმოება/მონტაჟია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ფინანსური ბრუნვები შეესაბამებოდეს მოთხოვნილ კრიტერიუმს, რომელიც ამავედროულად განსაზღვრავს კომპანიის გამოცდილებას კონკრეტული მიმართულებით. კომპანია „DemacLenko“-ს მიემართა თხოვნით, დამატებით წარმოედგინა ხელოვნური გათოვლიანების სისტემის წარმოება/მონტაჟის ფინანსური ბრუნვის დოკუმენტაცია, რომელიც გამიჯნული

იქნებოდა ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიების ბრუნვებისგან. კომპანიამ უარი განაცხადა ფინანსური ბრუნვის გამოჯვანაზე, რაც ახსნა იმით რომ, მათი მხრიდან მსგავსი დოკუმენტაციის მოწოდება შეუძლებელი იქნებოდა, გათვლიანების სისტემების კომპლექსური დიზაინისა და ჯგუფში შემავალი კომპანიების ურთიერთდაკავშირებული წარმოების სამუშაოების გამო.

საკვალიფიკაციო მოთხოვნის მიხედვით კომპანიის მხრიდან წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 5 წლის განმავლობაში ხუთი საჯარო/სახელმწიფო კომპანიასთან განხორციელებული ხელოვნური გათვლიანების სისტემის წარმოება/მონტაჟის პროექტი, რომლის ჯამური ღირებულებაც იქნებოდა არანაკლებ 60 მილიონი ლარისა. კომპანია „DemacLeko“-მ ვერ წარმოადგინა კრიტერიუმების შესაბამისი დოკუმენტაცია და წერილობით განმარტავდა რომ „HTI“ ჯგუფი აკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმს. „ემ-თი-ეის“ მხრიდან დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე, კომპანია „DemacLenko“-მ გამოაგზავნა დოკუმენტაცია, რომელიც ვერ პასუხობდა აღნიშნული კრიტერიუმს.

საკვალიფიკაციო დოკუმენტში მოთხოვნილი ოთხი სერთიფიკატიდან (ISO9001; ISO14001; ISO3834-2; ISO45501) კომპანია „DemacLenko“-მ წარმოადგინა მხოლოდ ერთი, ISO9001. დანარჩენი სერთიფიკატები წარმოადგინა ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიის, კერძოდ კი საბაგიროს მწარმოებელი კომპანია „LEITHER AG“-ის, რომელიც არ უზრუნველყოფს გათვლიანების სისტემის წამოება/მონტაჟის მიმართულებას. აღნიშნული, ეწინააღმდეგება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მკაფიოდ ასახავს, რომ კომპანია „DemacLenko“-ს არ აქვს დანერგილი ISO მართვის სისტემები სრულად. ასევე აღსანიშნავია, რომ ბაზრის კვლევის

ბაზრის კვლევის შედეგების გამოცხადებამდე, 2022 წლის 17 მაისს, „ემ თი ეიმ“ ბაზრის კვლევაში მონაწილე კომპანია „TechnoAlpin“-ისგან მიიღო ოფიციალური წერილი, რომელიც ეხებოდა ახალ შეთავაზებას. კომპანიამ განსაზღვრა ახალი ფასი - 99,999,000.00 ლარი (დღგ-ს ჩათლით). წერილში აღნიშნა, რომ გათვლიანების სისტემის პროექტს დაასრულებდა 2022 წლის ნოემბრის ბოლომდე. ასევე, განსაკუთრებული გარანტიით ისარგებლებდა შემსყიდველი. აღნიშნული, შეთავაზება არის ფასდაკლება, რომელიც ემსახურება საქართველოს მხარდაჭერას, რომ 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს შეუფერხებლად, მაღალი ხარისხის გათვლიანების სისტემით. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კომპანია „Technoalpin“-მა განახორციელა ხელოვნური გათვლიანების სისტემების წარმოება/მონტაჟი სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებმაც ბოლოს 10 წლის განმავლობაში უმსაპინძლეს მრავალი მაღალი რანგის საერთაშორისო ჩემპიონატებს, კერძოდ: მსოფლიო ჩემპიონატი - იტალიაში, საფრანგეთში, ავსტრიასა და ფინეთში; მსოფლიო თასები - იტალიაში, შვეიცარიაში, ბულგარეთსა და გერმანიაში; ზამთრის ოლიმპიური თამაშები - ჩინეთში, კორეასა და რუსეთში. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2022 წლის ზამთრის

ოლიმპიადა ჩინეთში, კერძოდ შანხაიში, სადაც კომპანია „Technoalpin“-მა 100%-ით განახორციელა ხელოვნური გათოვლიანების სისტემის წარმოება/მონტაჟის სამუშაოები.

ბაზრის კვლევის კომისიამ დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, 17 მაისს, მიიღო გადაწყვეტილება, რომ უპირატესობა მიენიჭებინა კომპანია „TechnoAlpin“-ისთვის, ვინაიდან იგი აკმაყოფილებს ყველა საკვალიფიკაციო და ტექნიკურ მოთხოვნებს. მათ შორის, კომპანიაში დანერგილი აქვს საერთაშორისო ISO სერტიფიკატის ყველა სტანდარტი. ამავდროულად, პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრეტენდენტების მხრიდან საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება იყო მთავარი კრიტერიუმი, იმისათვის რომ მსოფლიო ჩემპიონატის შეუფერხებელ და მაღალ დონეზე ჩატარებას საფრთხე არ შეექმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მიადგება, როგორც რეპუტაციული, ისე ფინანსური ზიანი.

ამავდროულად, გათვალისწინებული იყო, კომპანიის მიერ წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება სხვადასხვა მაღალი დონის საერთაშორისო ღონისძიებებზე განხორციელებული ხელოვნური გათოვლიანების წარმოება/მონტაჟის მიმართულებით. აღნიშნულმა კომპანიამ სრულად წარმოადგინა, როგორც ფინანსური ბრუნვის მაჩვენებლები, ასევე, საჯარო/სახელმწიფო კომპანიებთან განხორციელებული პროექტები, ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მიმართულებით.

გათვალისწინებული იქნა მათ მიერ შემოთავაზებული განსაკუთრებული გარანტია და პროექტის დასრულების უმოკლესი ვადები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შესყიდვის მთავარი ობიექტი არის უშუალოდ გათოვლიანების სისტემა და ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს სხვა სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, შერჩეული კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები მიუთითებს, როგორც ფინანსურ სტაბილურობაზე, ასევე გარანტიაზე, რომ პროექტის დაწყება და დასრულება მოხდება შეუფერხებელ ვადებში.

დამატებით გაცნონებთ რომ, შედეგების გამოცხადების შემდგომ, 2022 წლის 23 მაისს კომპანია „Demacleko“-მ, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა ბაზრის კვლევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ოფიციალურად, წერილით მიმართა საქართველოს მთავრობას და მთის ტრასების სააგენტოს. წერილში აღნიშნულია, რომ კომპანია, პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე მხარს უჭერს საქართველოს და მზაობას აცხადებენ პროექტის ღირებულება შემციროს 89,999,000.00 ლარამდე, რომელიც 1,940,038.00 ლარით ნაკლებია თავდაპირველ ფასთან მიმართებაში.



რაც შეეხება დაფინანსების საკითხს, განკარგულებით გათვალისწინებული შესყიდვები ფინანსდება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომპანიისთვის გამოყოფილი თანხებით (კაპიტალური ხარჯების სახით).

„შპს „ემ თი ეის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის -----განკარგულებით შპს „ემ თი ეის“ თანხმობა მიეცა განკარგულებით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

გასათვალისწინებელია, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ამ ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება არ ვრცელდება სამშენებლო სამუშაოების გამარტივებულ შესყიდვებზე, რომელიც სრულდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წინასწარ განსაზღვრულ, უცვლელ და ერთიან (ფიქსირებულ) ფასად (lump sum), საჯარო ინტერესთა გამოხატვის გზით ჩატარებული ბაზრის წინასწარი კვლევის საფუძველზე. ამავე მუხლით გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების lump sum ტიპად მიჩნევის საკითხს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. აღსანიშნავია, რომ განკარგულებით გათვალისწინებული შესყიდვა წარმოადგენს lump sum ტიპს და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის - მოქმედება არ უნდა გავრცელდეს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ შესყიდვებთან დაკავშირებით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შპს „ემ თი ეი“ მიერ პროექტის თანახმად განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვაზე არ უნდა გავრცელდეს მითითებული ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გამარტივებული შესყიდვის განხორციელება საჭიროებს საქართველოს მთავრობის შესაბამის აქტს. ვინაიდან, შპს „ემ თი ეის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა, მომზადდა შესაბამისი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

### **ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

შპს „ემ თი ეის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის მომზადებისას ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოყენებული არ არის.

### **პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე და არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განკარგულების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების საერთო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში შეადგენს დაახლოებით 99,999,000.00 მილიონ ლარს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით, აღნიშნული ღონისძიებები მთლიანად ფინანსდება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომპანიისთვის გამოყოფილი თანხებით (კაპიტალური ხარჯების სახით).

### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოცემის შემთხვევაში, კურორტ ბაკურიანში, დიდველისა და კობტა-მიტარბის სამთო-სათხილამურო კურორტებზე მოეწეობა ახალი სასრიალო ტრასები და ხელოვნური გათოვლიანების სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურორტ ბაკურიანის სამთო-სათხილამურო არეალებზე არსებული გათოვლიანების სისტემების საჭირო წყლით მომარაგებას, რაც უზრუნველყოფს სასრიალო გზების სათანადოდ გათოვლიანებას და შესაბამისად, მაღალი სტანდარტების სასრიალო

გზებსა და გახანგრძლივებულ ზამთრის სამთო-სათხილამურო სეზონს. მოცემული ფაქტორები საქართველოში არსებულ სამთო-სათხილამურო კურორტ ბაკურიანს სათანადოდ მოამზადებს 2023 წლის მსოფლიო სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტაილის ჩემპიონატისთვის და უფრო მიმზიდველს გახდის ადგილობრივი და უცხოელი დამსვენებლებისა და ინვესტორებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის განვითარებას და შესაბამისი საინვესტიციო გარემოს შექმნას.

### **პროექტის განხორციელების ვადები**

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს დაახლოებით 2022 წლის ივნისის თვიდან 2022 წლის ნოემბრის ბოლომდე. აღნიშნული პროექტის განხორციელება აუცილებელია ბაკურიანში ჩასატარებელი 2023 წლის მსოფლიო სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტაილის ჩემპიონატისთვის, ასევე, საქართველოში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

### **პროექტის ავტორი და წარმდგენი**

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის ავტორია შპს „ემ თი ეი“, ხოლო პროექტის წარმდგენია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.